



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 78

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
31.10.2024

78-06-4-202410311557



სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №1 საჯარო სკოლისათვის, შალვა ბედოიძის სახელის მინიჭებაზე, თანხმობის გაცემის შესახებ „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 4¹ მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გაიცეს თანხმობა, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №1 საჯარო სკოლისათვის, ქართული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე, ეროვნული მასშტაბით აღიარებული საერო პირის, შალვა ბედოიძის სახელის მინიჭებაზე.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედგხაური

საკრებულოს თავმჯდომარე